

## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი № 17

7 აგვისტო 2018 წელი  
ხაშური

სხდომის თავმჯდომარე- საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ ჯანაშვილი.  
სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ზურაბ ნოზაძე, გიორგი ბერაია, ლევან გამრეკელი, დავით გარადინსკი, ირინე გელაშვილი, დავით გელაშვილი, ელგუჯი გოგალაძე, ირინე გრიგალაშვილი, მიხეილ კაპანაძე, ჯონდო კაპანაძე, ნატო კიკაძე, ელზა კიკაძე, ლაშა ლუსმანაშვილი, გურამ მაზიაშვილი, მაყვალა მაისურაძე, დავით მეტრეველი, ემზარ მურჯიკნელი, ცოტნე ნოზაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, ნოვე ტაბატაძე, ზვიად ტეფნაძე, აკაკი ჩიტაძე, მერაბ ცხოვრებაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა, ვაჟა ხარშილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვის და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩიქოვანი,

სხდომის თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი მიესალმა საკრებულოს წევრებს, საკრებულოს რიგით მე-17 სხდომა გზსხნილად გამოაცხადა 16:00 საათზე და მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე. საკრებულოს 31 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 27 წევრმა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს წევრებს მოუწოდა, სხდომის მიმდინარეობისას, რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმებისა და წესრიგის დაცვისაკენ. შემდეგ საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი და აღნიშნა რომ სხდომა ტარდება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მ/წლის 06 აგვისტოს N03/8132 მომართვის საფუძველზე.

### დღის წესრიგი:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ - მომხს. ალექსანდრე ჩიქოვანი

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის გაცნობის შემდეგ დღის წესრიგის პროექტს კენჭი უყარა:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - არცერთი  
(დანართი თან ერთვის)

### მოისმინეს:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი  
თანამომხსენებელი - ალექსანდრე ჩიქოვანი

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვის და მართვის განყოფილების ხელმძღვანელის ალექსანდრე ჩიქოვანის ინფორმაციით საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 1-ლი აგვისტოს №01/08/02 განკარგულებით გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნების თარიღი. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლი აწესებს ცალკეულ შეზღუდვებს, კერძოდ, კრძალავს სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრას. იმავდროულად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ავალდებულებს წინასაარჩევნოდ უზრუნველყონ თითოეული პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის თუ კანდიდატის სააგიტაციო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის თვალსაჩინო ადგილებზე გასაკრავად, რათა ამომრჩევლები ინფორმირებულები იყვნენ თითოეული საარჩევნო სუბიექტის პროგრამისა და პლატფორმის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიას.

სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 10 დღისა. გამომდინარე აქედან რათა დაცული იყოს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ განსაზღვრული ვადები საჭირო გახდა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე საკრებულოს სხდომის ჩატარება, რათა მივიღოთ ზემოაღნიშნული განკარგულება.

აზრი გამოთქვას: ზვიად ტეფნაძემ, ნოვე ტაბატაძემ, ანა ხარებავამ, დავით გელაშვილმა,  
მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით დადგენილება მიღებულ იქნა  
(დადგენილება ოქმს თან ერთვის)  
(მომხრე 27, წინააღმდეგი 0)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის გამო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე

მიხეილ ჯანაშვილი